დოკუმენტი ადამიანური ძმობის შესახებ საყოველთაო მშვიდობისა და თანაცხოვრებისათვის

წინათქმა

რწმენა დაანახვებს მორწმუნეს სხვა ადამიანში იმ დას ან ძმას, რომელსაც მან ხელი უნდა მოუმართოს და შეიყვაროს. ღვთის რწმენა, იმ ღმერთისა, რომელმაც შექმნა სამყარო, ქმნილებანი და ყოველი ადამიანი (რომლებიც, თავისი გულმოწყალებით, თანასწორნი შექმნა), მოუხმობს მორწმუნეებს, გამოხატონ ეს საკაცობრიო ძმობა ქმნილებაზე და მთელ სამყაროზე ზრუნვითა და მოფრთხილებით და ყოველი ადამინის, განსაკუთრებით ყველაზე ღარიბთა და შეჭირვებულთა გვერდში დადგომით. სწორედ ამ მიღმიერი ფასეულობიდან იღებდა სათავეს ძმობისა და მეგობრობის სულისკვეთებით გამსჭვალული არაერთი შეხვედრა, რომლის დროსაც გავიზიარეთ თანამედროვე მსოფლიოს სიხარული, საფიქრალი და პრობლემები. განვიხილეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მედიცინის მიღწევები, ციფრული ეპოქის გამოწვევები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და კომუნიკაციასთან დაკავშირებული საკითხები. ჩავუღრმავდით ასევე სიღარიბის, კონფლიქტისა და მსოფლიოს სხვადასხვა
მხარეში ამდენი დისა და ძმის ტანჯვა-ვაების დონეს, რაც გამოწვეულია გამალებული შეიარაღებით, სოციალური უსამართლობით, კორუფციით, უთანასწორობით, ზნეო-
ბრივი დაქვეითებით, ტერორიზმით, დისკრიმინაციით, ექსტრემიზმითა და მრავალი სხვა მიზეზით. ჩვენი ძმური და გულახდილი საუბრებიდან და ყველა ადამიანისთვის ნათელი მომავლის იმედით აღვსილი შეხვედრის შედეგად წარმოიშვა აზრი შეგვექმნა წინამდებარე ადამიანური ძმობის დოკუმენტი. ეს ტექსტი წრფელი და სერიოზული განსჯის ნაყოფია და წარმოადგენს კეთილ და ნამდვილ მისწრაფებათა ჩვენს ერთობლივ განცხადებას. დოკუმენტი მიზნად ისახავს ღმერთისა და ადამიანური ძმობის რწმენით აღსავსე ყოველ ადამიანს მოუწოდოს, ერთად იღვაწონ, რათა ეს დოკუმენტი იქცეს
გზამკვლევად მომავალი თაობებისთვის ურთიერთპატივისცემის კულტურის დამკვიდრებისა და იმ დიდი ღვთიური მადლის შეცნობის საქმეში, რომელიც ადამიანებს და-ძმებად აქცევს. დოკუმენტი ღმერთის სახელით, რომელმაც ყოველ ადამიანს თანაბრად დაანათლა უფლებები, მოვალეობები და ღირსება, რომელმაც მოუწოდა მათ ეცხოვრათ ძმურად, აევსოთ დედამიწა და გაევრცელებინათ მასზე სიკეთის, სიყვარულისა და მშვიდობის ფასეულობანი; უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლის სახელით, რომლის მოკვლაც ღმერთმა აკრძალა, როცა ბრძანა, რომ ერთი ადამიანის მკვლელი მთელი კაცობრიობის მკვლელია და ერთი ადამიანის მხსნელი მთელი კაცობრიობის მხსნელი; უპოვართა, ღატაკთა, გარიყულთა და ყველაზე შეჭირ- ვებულთა სახელით, რომელთა დახმარებაც ღმერთმა მოვალეობად დააკისრა ყოველ ადამიანს, განსაკუთრებით კი მდიდარსა და შეძლებულს; ობოლთა, ქვრივთა, თავიანთი სახლებიდან და ქვეყნებიდან ლტოლვილთა და განდევნილთა სახელით; ომების, დევნისა და უსამართლობის მსხვერპლთა სახელით; უძლურთა, დაშინებულთა, ომის ტყვეთა და ნაწამებთა სახელით, მსოფლიოს ნებისმიერ მხარეში, განურჩევლად
განსხვავებებისა; ხალხთა სახელით, რომელნიც ნგრევის, უბედურებათა და ომის მსხვერპლი გამხდარან და დაუკარგავთ უსაფრთხოება, მშვიდობა და ერთად ცხოვრების საშუალება; ადამიანური ძმობის სახელით, რომელიც მოიცავს ყველა ადამიანს, აერთიანებს და თანასწორს ხდის მათ; ამ ძმობის სახელით, რომელსაც ბღალავს ექსტრემიზმის და დაყოფის პოლიტიკა, ზღვარსგადასულ მოგებებზე დამყარებული

ეკონომიკური სისტემები და სიძულვილით გამსჭვალული იდეოლოგიური მიმდინარეობები, რომლებიც მანიპულირებენ ადამიანების ქმედებებითა და ბედ-ღბლით; თავისუფლების სახელით, რომელიც ღმერთმა უბოძა ყოველ ადამიანს, როდესაც თავისუფალნი შექმნა და ამ ნიჭით გამოარჩია ისინი; სამართლიანობისა და გულმოწყალების სახელით, რაც კეთილდღეობის საფუძველი და რწმენის ქვაკუთხე-
დია; დედამიწის ყოველ კუთხეში მცხოვრები ყველა კეთილი ნების ადამიანის სახელით; ღმერთის და ამ ყოველივე ზემოთქმულის სახელით, ალ-აზჰარ ალ-შარიფი, აღმოსავლელ და დასავლელ მუსულმანებთან ერთად, და კათოლიკე ეკლესია, აღმოსა-ვლელ და დასავლელ კათოლიკეებთან ერთად, აცხადებენ, რომ აღიარებენ დიალოგის კულტურას სავალ გზად, ურთიერთთანამშრომლობას – ქცევის წესად, ხოლო ურთიერთგაგებას – მეთოდად და სტანდარტად. ჩვენ, ვისაც გვწამს ღმერთი, მასთან საბოლოო შეხვედრა და მისი სამსჯავრო, ჩვენი რელიგიური და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე და წინამდებარე დოკუმენტის მეშვეობით, ვთხოვთ ჩვენს თავსაც და მსოფლიოს მესვეურთაც, საერთაშორისო პოლიტიკისა და მსოფლიო ეკონომიკის შემოქმედთ, ძალისხმევა არ დაიშურონ ტოლერანტობის, თანაცხოვრებისა და მშვიდობის კულტურის დამკვიდრებისთვის; დაუყოვნებლივ ჩაერიონ, რათა შეწყდეს უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ჟლეტა, დასრულდეს ომები, დაპირისპირებები, გარემოს განადგურება, კულტურული და ზნეობრივი დაღმასვლა, რომელსაც მსოფლიო დღესდღეობით განიცდის. მივმართავთ ინტელექტუალებს, ფილოსოფოსებს, რელიგიურ მოღვაწეებს, ხელოვანთ, მედიის მუშაკებსა და კულტურის წარმომადგენლებს მსოფლიოს ყველა კუთხეში, ხელახლა აღმოაჩინონ მშვიდობის, სამართლიანობის, სიკეთის, მშვენიერების, ადამიანური ძმობისა და თანაარსებობის ფასეულობანი, რათა დაადასტურონ ამ ფასეულობათა სასიცოცხლო მნიშვნელობა და გაავრცელონ ისინი ყოველგან. წინამდებარე განცხადება თანამედროვე რეალობის სიღრმისეული განსჯის ნაყოფია – იგი ჯეროვნად აფასებს ეპოქის მიღწევებს და იზიარებს მის ტანჯვას, კატასტროფებსა და უბედურებებს, მტკიცედ სწამს, რომ თანამე- დროვე მსოფლიო კრიზისის უმნიშვნელოვანესი მიზეზებია სინდისის გაუხეშება, გაუგრძნობლობა, რელიგიური ფასეულობებისადმი გაუცხოვება, აღზევებული ინდივი- დუალიზმი და მისი თანმდევი მატერიალისტური ფილოსოფიები, ადამიანს რომ აღმერთებს, ხოლო უზენაეს და მიღმიერ პრინციპებს ამქვეყნიური და მატერიალური ფა-
სეულობებით ანაცვლებს. ჩვენ ვაფასებთ იმ დადებით ნაბიჯებს, რომელიც თანა-
მედროვე ცივილიზაციამ გადადგა მეცნიერების, ტექნოლოგიის, მედიცინის, მრეწველობისა და კეთილდღეობის ამაღლების მხრივ, განსაკუთრებით, განვითარებულ ქვეყნებში. ამავე დროს, ხაზს ვუსვამთ, რომ ამ ისტორიული, დიდი და ფასეული მიღწევების კვალდაკვალ, შეინიშნება ზნეობრივი დაქვეითება (რაც საერთაშორისო ქმედებებზეც აისახება) და სულიერ ფასეულობათა თუ პასუხისმგებლობის დასუსტება. ეს ყოველივე ქმნის საყოველთაო იმედგაცრუების, მარტოობისა და სასოწარკვეთის ატმოსფეროს, რაც მრავალ ადამიანს ათეისტური, აგნოსტიკური ან რელიგიური ექსტრემიზმის მორევში ითრევს, ან ბრმა და ფანატიკური ექსტრემიზმისკენ უბიძგებს, რაც შედეგად ხელს უწყობს დამოკიდებულებებისა და ინდივიდუალური თუ კოლექტიური თვითგანადგურების სხვა და სხვა ფორმებს. ისტორია გვიჩვენებს, რომ რელიგიურმა თუ ნაციონალურმა ექსტრემიზმმა და შეუწყნარებლობამ, დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც წარმოშვა ის, რასაც შეგვიძლია ვუწოდოთ „დანაწევრებული მესამე მსოფლიო ომის“ ნიშნები. მსოფლიოს მრავალ კუთხეში, სხვადასხვა ტრაგიკული მოვლენების დროს ამ ნიშნებმა წარმოაჩინა თავისი სასტიკი სახე და ვინ იცის რამდენი

ადამიანი იმსხვერპლა, რამდენი დააქვრივა და დაობლა. ომის ხანძარი მსოფლიოს კიდევ არაერთ მხარეს ემუქრება – ვიწრო ეკონომიკური ინტერესების გამო, მრავალ ადგილას ჩნდება დაძაბულობის კერები, გროვდება იარაღი და აღ- ჭურვილობა, ისადგურებს გაურკვევლობა, იმედგაცრუება, მომავლის შიში. ჩვენ ასევე ვაცხადებთ, რომ ღრმა პოლიტიკურმა კრიზისებმა, უსამართლობამ და ბუნებრივი რესურსების არათანაბარმა განაწილებამ (რის შედეგადაც მდიდართა უმცირესობა სარგებლობს მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობის ხარჯზე) გააღატაკა, დააავადა და იმსხვერპლა უამრავი ადამიანი და კვლავაც აგრძელებს იმავეს. ამან სასიკვდილო საფრთხის წინაშე დააყენა არაერთი ქვეყანა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებს არც ბუნებრივი რესურსები აკლიათ და არც ახალგაზრდა თაობის ნაკლებობას უჩივიან. ამ კრიზისების წინაშე კი, რომლებიც მილიონობით ისედაც გაძვალტყავებულ ბავშვს შიმშილით კლავს, საერთაშორისო საზოგადოება ყოვლად მიუღებელ სიჩუმეს ინარჩუნებს. ცხადია, ასეთ ვითარებაში უდიდესი როლი ეკისრება ოჯახს – საზოგადოებისა და კაცობრიობის ძირითად ბირთვს, რომელიც ბადებს, ზრდის, განათლებას აძლევს, ზნეობრივად აყალიბებს და ოჯახურ სითბოს და სიმყუდროვეს აძლევს ბავშვს. ოჯახის ინსტიტუტზე შეტევა, მისი დაკნინება, მისი მნიშვნელობის ეჭვქვეშ დაყენება ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ბოროტებაა. ასევე მნიშვნელოვანია რელიგიური ცნობიერების გამოღვიძება და აღორძინება ახალგაზრდა თაობების გულებში, მათი ჯანსაღი აღზრდის, ზნეობრივ ღირებუ- ლებებთან ზიარებისა და სწორი რელიგიური სწავლების გზით. ამგვარად შევძლებთ დავუპირისპირდეთ ინდივიდუალისტურ, თავკერძა, კონფლიქტურ ტენდენციებს და შევებრძოლოთ რადიკალიზმსა და ბრმა ექსტრემიზმს
მათ ყოველგვარ ფორმასა და გამოვლინებაში. რელიგიათა უპირველესი და ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია ღმერთის რწმენა, მისი თაყვანისცემა და ყოველი ადამიანის მოხმობა, ირწმუნონ, რომ ეს სამყარო დამოკიდებულია იმ ღმერთზე, რომელიც განაგებს მას. იგია შემოქმედი, რომელმაც გამოგვძერწა თავისი ღვთიური სიბრძნით და მოგვმადლა სიცოცხლის ნიჭი, რომელსაც უნდა მოვუფრთხილდეთ. არავისა აქვს უფლება ეს საჩუქარი წაგვართვას, დაემუქროს ან თავის გემოზე მოეპყრას მას. მართლაც, ყველას მართებს დაიცვას სიცოცხლის ეს ძღვენი მისი დასაწყისიდან მის ბუნებრივ დასასრულამდე. ამიტომ, ვგმობთ სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ ყოველგვარ პრაქტიკას – გენოციდს, ტერორისტულ აქტებს, ადამიანთა იძულებით გადაადგილებას, მათი ორგანოებით ვაჭრობას, აბორტს, ევთანაზიას და ამ ყოველივეს მხარდამჭერ პოლიტიკას. ასევე გადაჭრით ვაცხადებთ, რომ რელიგიები არასოდეს უნდა ქადაგებდნენ ომს, აღვივებდნენ შუღლს, მტრობას, ექსტრემიზმს, არავის მოუწოდებდნენ ძალადობისა და სისხლისღვრისკენ. ეს უბედურებანი რელიგიური სწავლებიდან გადახრის, რელიგიის პოლიტიკური მიზნებით გამოყენებისა და იმ რელიგიურ პირთა ჯგუფების მიერ გაკეთებულ ინტერპრეტაციათა შედეგია, რომლებმაც, გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში, ბოროტად გამოიყენეს რელიგიურ გრძნობათა გავლენა ადამიანთა გულებზე და ამქვეყნიური, ვიწრო პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნებისთვის ადამიანებს იმ ქმედებებისკენ უბიძგეს, რომელთაც ნამდვილ რელიგიასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ამიტომაც, ყველასგან მოვითხოვთ შეწყვიტონ რელიგიის გამოყენება შუღლის, ძალადობის, ექსტრემი-
ზმის და ბრმა ფანატიზმის გასაღვივებლად, შეწყვიტონ ღმერთის სახელის გამოყენება ადამიანთა ჟლეტის, დევნის, დაშინებისა თუ ჩაგვრის გასამართლებლად. ამას მოვითხოვთ ღმერთისადმი ჩვენი ერთობლივი რწმენის საფუძველზე, ღმერთისა, რომელსაც ადამიანები მოსაკლავად არ შეუქმნია, არც იმისთვის, რომ ერთმანეთთან

ებრძოლათ, ერთმანეთი ეწამებინათ და დაემცირებინათ. ყოვლისშემძლე ღმერთს არავისგან დაცვა არ სჭირდება; მას არ სურს, რომ მისი სახელი ხალხის დასაშინებლად იქნას გამოყენებული. ეს დოკუმენტი, სხვა წინამორბედ საერთაშორისო დო- კუმენტებთან ერთად, რომლებიც ხაზს უსვამენ რელიგიის როლს მსოფლიო მშვიდობის დამყარების საქმეში, აცხადებს შემდეგს: - მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ ჭეშმარიტი რელიგიური სწავლებანი მოგვიწოდებენ ვუერთგულოთ მშვიდობის ფასეულობებს; მხარი დავუჭიროთ ურთიერთგაგების, ადამიანური ძმობისა და ჰარმონიული თანაცხოვრების ფასეულობებს; სიბრძნის, სამართლიანობისა და ურთიერთსიყვარულის აღდგენას; რელიგიური ცნობიერების გამოღვიძებას ახალგაზრდებში, რათა დავიცვათ მომავალი თაობები აღზევებული მატერიალისტური აზროვნებისგან, ზღვარსგადასულ მოგებას გამოდევნებული, გულგრილი, ძალის კანონზე და არა კანონის ძალაზე დამყარებული ხარბი პოლიტიკის მავნე გავლენისგან; - თავისუფლება ყოველი ადამიანის უფლებაა: ყველას აქვს რწმენის, აზრის, გამოხატვისა და მოქმედების თავისუფლება. რელიგიური, კანის ფერის, სქესის, რასობრივი და ენობრივი პლურალიზმი ღმერთმა ინება თვისი სიბრძნით, რომლითაც შექმნა მან ადამიანები. სწორედ ამ სიბრძნიდან იღებს სათავეს რწმენისა და განსხვავე- ბულობის თავისუფლება. ამიტომაც ვგმობთ ამა თუ იმ რელიგიაზე თუ კულტურაზე გადასვლის დაძალებას, ისევე, როგორც ამა თუ იმ ცხოვრების სტილის სხვებისთვის თავს მოხვევას მათი სურვილის საწინააღმდეგოდ; გულმოწყალებაზე დამყარებული სამართლიანობა ის ბილიკია, რომელიც მიგვიყვანს ღირსეულ ცხოვრებამდე, რისი უფლებაც ყოველ ადამიანს აქვს; დიალოგი, ურთიერთგაგება, ადამიანთა შორის ტო- ლერანტობის, გახსნილობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების დამკვიდრება მნიშვნელოვნად შეამცირებს ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეკოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც აწუხებს ადამიანთა დიდ ნაწილს; მორწმუნეთა შორის დიალოგი ნიშნავს მათ შეხვედრას საერთო სულიერი, ადამიანური და სოციალური ფასეულობების ვრცელ სივრცეში და რელიგიების მიერ გაცხადებულ მაღალზნეობრივ სათნოებათა ურთიერთგაზიარებას; ეს ასევე ნიშნავს უნაყოფო კამათისგან თავის არიდებას; - საკულტო ნაგებობების – სინაგოგების, ეკლესიების, მეჩეთების დაცვა რელიგიების, ადამიანური ფასეულობების, კანონებისა და საერთაშორისო კონვენციების მიერ გარანტირებული მოვალეობაა. ამ ნაგებობების წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ქმედება თუ მუქარა (თავდასხმა, აფეთქება, დანგრევა) წარმოადგენს რელიგიური სწავლებიდან გადახრას და საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევას;
- ტერორიზმი, საზარელი მოვლენა, რომელიც ემუქრება ადანიანების უსაფრთხოებას აღმოსავლეთშიც, დასავლეთშიც, ჩრდილოეთშიც და სამხრეთშიც და თესავს პანიკას, შიშს და პესიმიზმს, რელიგიიდან როდი გამომდინარეობს, მაშინაც, როცა ტერორისტები იყენებენ მას. ის, უფრორე, შედეგია რელიგიური ტექსტების დაგროვილი არასწორი ინტერპრეტაციისა და შიმშილის, სიღარიბის, უსამართლობის, ჩაგვრისა და ამპარტავნების პოლიტიკისა. ამიტომ, აუცილებელია შეწყდეს ტერორიზმის მომა- რაგება ფულადი სახსრებით, იარაღით თუ სტრატეგიული გეგმებით, მისი ქმედებების გამართლება, მათ შორის, მედია საშუალებებით. ეს ყოველივე უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო დანაშაულად, რომელიც ემუქრება მსოფლიო უსაფრთხოებასა და მშვიდობას. უნდა დაიგმოს ტერორიზმის ყველა ფორმა და გამოვლინება;

- მოქალაქეობის ცნება ემყარება უფლებათა და მოვალეობათა თანასწორობას, რაც საყოველთაო სამართლიანობის საწინდარია. ამიტომ, ჩვენს საზოგადოებებში უნდა

დაინერგოს სრული მოქალაქეობის ცნება და უარი უნდა ეთქვას დისკრიმინაციულ ტერმინს უმცირესობა, რომელიც აჩენს იზოლირებულობისა და არასრულფასოვნების განცდას, ნიადაგს უქმნის შუღლსა და უთანხმოებას, დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს მოქალაქეთა ნაწილს, აკნინებს მათ მონაპოვარსა და რელიგიურ თუ სამოქალაქო უფლებებს;

- აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კარგი ურთიერთობა ორივე მხარისათვის აშკარა აუცილებლობაა, რათა შეძლონ ერთმანეთის ცივილიზაციით გამდიდრება დიალოგისა და კულტურული ურთიერთგაცვლის გზით. მატერიალიზმის ზეობით შეპყრობილ დასავლეთს შეუძლია აღმოსავლეთის ცივილიზაციაში პოვოს თავისი სულიერი და რელიგიური პრობლემების წამალი; აღმოსავლეთი კი დასავლულ ცივილიზაციაში აღმოაჩენს უამრავ საშუალებას, რათა თავი დააღწიოს სისუსტეს, დაყოფას, და-პირისპირებებს, მეცნიერულ, ტექნიკურ და კულტურულ დაღმასვლას. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას რელიგიური, კულტურული და ისტორიული განსხვავებები, რაც აღმოსავლური ხასიათის, კულტურისა და ცივილიზაციის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ამავე დროს, უნდა გაძლიერდეს ადამიანის ძირეული უფლებები, რათა უზრუნველყოფილ იქნას აღმოსავლელი და დასავლელი ადამიანების ღირსეული ცხოვრება და თავიდან იქნას აცილებული ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა.

- აუცილებელია ქალებს მიეცეთ განათლების მიღების, მუშაობისა და თავიანთი პოლიტიკური უფლებების განხორციელების უფლება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ქალები გათავისუფლდნენ მათი რწმენისა და ღირსების საწინააღმდეგო ისტორიული თუ სოციალური ჩარჩოებისგან. ასევე აუცილებელია მათი დაცვა სქე-
სობრივი ჩაგვრისაგან, მათი ნივთად, სიამოვნებისა თუ ფინანსური შემოსავლის წყაროდ ქცევისაგან. ამიტომ, აუცილებელია უარი ვთქვათ ხალხში გავრცელებულ არა-
ადამიანურ და ქალთა ღირსების შემლახველ ქმედებებსა და წეს-ჩვეულებებზე. ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ, რათა შეიცვალოს კანონები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს სრულად განახორციელონ თავიანთი უფლებები. ოჯახისა და საზოგადოების მოვალეობაა დაიცვას ბავშვთა ძირეული უფლებები – აღიზარდონ ოჯახურ გა- რემოში, ჰქონდეთ საკვები, მიიღონ განათლება და დახმარება. ეს უფლებები უნდა იყოს გარანტირებული და დაცული, რათა მათ გარეშე არ დარჩეს არცერთი ბავშვი მსოფლიოს არცერთ კუთხეში. უნდა დაიგმოს ბავშვთა ღირსებისა და უფლებების შემლახავი ნებისმიერი პრაქტიკა. ასევე მნიშვნელოვანია ავარიდოთ ისინი შესაძლო საფრთხეებს (განსაკუთრებით, ციფრულ გარემოში) და დანაშაულად მივიჩნიოთ მათი უმანკოებით ვაჭრობა და მათი სიყრმის ნებისმიერი სახით ხელყოფა.

- ხანდაზმულთა, სნეულთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ჩაგრულთა უფლებების დაცვა რელიგიური და სოციალური ვალდებულებაა, რომელიც
მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი შესაბამის კანონმდებლობებსა და საერთაშორისო კონვენციებში. ამ მიზნით, კათოლიკე ეკლესია და ალ-აზჰარი, ურთი-
ერთთანამშრომლობის გზით, აცხადებენ და პირობას დებენ, რომ ამ დოკუმენტს მიიტანენ სახელისუფლებო წრეებამდე, გავლენიან ლიდერებამდე, მთელი მსოფლი- ოს სასულიერო პირებამდე, კომპეტენტურ რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებამდე, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებამდე, რელიგიურ ინსტიტუტებამდე და ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებამდე. ისინი ასევე აცხადებენ, რომ გაავრცელებენ ამ დოკუმენტის პრინციპებს ყველა რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე და მოითხოვენ, რომ ეს პრინციპები აისახოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში, საკანონმდებლო ტექსტებში, სასწავლო პროგრამებსა და

საკომუნიკაციო მასალებში. ალ-აზჰარი და კათოლიკე ეკლესია მოითხოვენ, რომ ეს დოკუმენტი იქცეს შესწავლისა და განსჯის საგნად სკოლებში, უნივერსიტეტებში, აღმზრდელობით და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რათა ახალი თაობები აღიზარდონ სიკეთისა და მშვიდობის სულისკვეთებით და ყველგან დაიცვან ჩაგრულთა და მცირეთა უფლებანი. დაბოლოს, იმედს გამოვთქვამთ, რომ წინამდებარე
დეკლარაცია: იქცევა მოწოდებად შერიგებისა და ძმობისა როგორც მორწმუნეებს, ასევე მორწმუნეთა და ურწმუნოთა, კეთილი ნების ყველა ადამიანს შორის; იქცევა მოწოდებად ყოველი სინდისიერი ადამიანის მიმართ, რომელიც უარს ამბობს ძალადობასა და ბრმა ექსტრემიზმზე; მათ მიმართ, ვინც პატივს სცემს რელიგიის მიერ მხარდაჭერილ და წახალისებულ ტოლერანტობისა და ძმობის ფასეულობებს; იქცევა დასტურად ღმერთის რწმენის სიდიადისა, რწმენისა, რომელიც აერთიანებს გაყოფილ გულებს და აღამაღლებს ადამიანის სულს. იქცევა ნიშნად სიახლოვისა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს, ყველა იმ ადამიანს შორის, ვისაც სწამს, რომ ღმერთმა შეგვქმნა, რათა ერთმანეთს გავუგოთ, ერთმანეთთან ვითანამშრომლოთ და ერთმანეთის მოსიყვარულე და-ძმათა დარად ვიცხოვროთ. ამის იმედი გვაქვს და ამის ხორცშესხმას ვცდილობთ, რათა ამქვეყნად დამყარდეს საყოველთაო მშვიდობა ყველა ადამიანის სასიკეთოდ.

აბუ დაბი, 2019 წლის 4 თებერვალი

მისი უწმიდესობა	ალ-აზჰარის დიდი იმამი
პაპი ფრანცისკე	აჰმად ალ-ტაიები